

2016

წლიური ანგარიში



შინარსი

1. შესავალი -----	3-4
2. ქსელის შესახებ-----	5
2.1.ქსელის მისიის განაცხადი-----	5
2.2. ქსელის სტრუქტურა-----	5
2.3. ორგანოგრამა-----	5-6
2.4. ქსელის წევრები-----	5-8
2.5. გამგეობა-----	8
2.6. სამდივნოს თანამშრომლები-----	9-10
2.7.მიმდინარე პროექტები და დონორები-----	11-12
2.8. ფინანსური ანგარიში-----	13-17
3. გამგეობის ანგარიში-----	18-20
4. ქსელის საქმიანობის ანგარიში-----	20
4.1. საადვოკაციო ღონისძიებები-----	20-23
4.2. საადვოკაციო კამპანიები-----	23-25
4.3. სათემო მობილიზაცია-----	25
4.4. თანამშრომელთა ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა-----	25
4.5. შეხვედრები/მრგვალი მაგიდები-----	26-28
4.6.ტრენინგები-----	28
4.7. სერვისები-----	28-39
4.5. რეგიონალური პროექტი „ზიანის შემცირება მუშაობს-დააფინანსეთ!“ -----	39-40
4.6. რეგიონალური პროექტის „აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური პლატფორმა ქალების, გოგონებისა და ტრანსგენდერებისთვის აივ/შიდსის დაჩქარებული პასუხისთვის“-----	40
4.7.პროექტის “აივისა და ჰეპატიტი ც-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში”-----	40
4.8. პროექტი „ნარკოდანსაულისთვის ნასამართლევ პირთა უფლებებისთვის“-----	41
4.9 პროექტი ჰოლისტური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში” -----	41
5. ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა-----	41-42
6. ახალი განაცხადები-----	42

1. შესავალი

წლიური ანგარიშის შემუშავება მიზნად ისახავს გაწეულ სამუშაოზე ანგარიშგებას წევრი ორგანიზაციების, ბენეფიციარების, დონორებისა და პარტნიორების მიმართ. ანგარიშში ასახულია ის მიღწევები, რომლებიც 2016 წელს გაწეული მუშაობის შედეგად იქნა მიღებული. ანგარიშში ასევე მოცემულია ინფორმაცია ზშ ქსელის სტრუქტურების, მისი ფინანსური სიჯანსაღისა და პროგრამული მიმართულებებით მიმდინარე საქმიანობებზე.

მსურს აღნიშნო, რომ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი წარმატებით აგრძელებს საქმიანობას იმ გამოწვევების საპასუხოდ, რომელიც ხელს უშლის წამალდამოკიდებული ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ქსელი აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ცვლილებისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, ჰუმანური პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ქსელის მონაწილეობით 2016 წელს ჩამოყალიბდა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა.

ქსელის მონაწილეობით ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის საქმიანობის ფარგლებში შეიქმნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც სამუშაო ფორმატში განიხილება საპარლამენტო კომიტეტებში და უახლოეს მომავალში გახდება პარლამენტის მსჯელობის საგანი.

ქსელი აგრძელებს საქმიანობას წევრი ორგანიზაციების გაძლიერების მიზნით, ეხმარება მათ სამოქმედო სტრატეგიების შემუშავებასა და შიდა მმართველობითი სისტემების გაუმჯობესებაში.

ქსელი აქტიურად თანამშრომლობს ქსელის წევრ ორგანიზაციებთან, მათ შორის სათემო ორგანიზაციებთან და მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მათ ჩართულობას ქსელის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, ხელს უწყობს მათ საადვოკაციო საქმიანობის განხორციელებაში და სტრატეგიების შემუშავებაში.

ქსელი 2008 წლიდან დღემდე ახორციელებს შპრიცების პროგრამას ქვეყნის 11 ქალაქში 14 სერვის ცენტრის სახით. ერთ-ერთი სერვის ცენტრი მდებარეობს კონფლიქტურ რეგიონში ქ.სოხუმში. ყოველწლიურად იზრდება პროგრამის მიერ მოცული ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების რაოდენობა, ბოლო წლების მანძილზე აღნიშნული პროექტის წვლილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე ცე ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის გახორციელებაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქსელი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა დონის სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, სამკურნალო კლინიკებთან, ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრთან, დარგში ჩართულ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტთან და ორგანიზაციასთან.

ქსელი ხელს უწყობს ზიანის შემცირების პროგრამებზე ინვესტიციის საჭიროების ადვოკატირების პროცესში ნარკომომხმარებლების თემის გაძლიერებას და მათ უშუალო ჩართულობას.

ზიანის შემცირების ქსელი პროექტის „ზიანის შემცირება მუშაობს-დააფინანსეთ“ ფინანსური მხარდაჭერით იქმნება ზიანის შემცირების სტანდარტები. აღნიშნული ღონისძიებების საბოლოო მიზანია სტანდარტის დამტკიცება ეროვნულ დონეზე, რაც ერთის მხრივ ხელს

შეუწყობს ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და მოცვის გაზრდას, ხოლო მეორეს მხრივ შპრიცების პროგრამის მიწოდების ლეგალური ბაზის შემქნმას.

ქსელი ჩართული იყო ც ჰეპატიტის მკურნალობის სტრატეგიის შემუშავებაში, მონაწილეობდა პროგრამის ამუშავების პროცესში, ხოლო 2016 წელს ქსელმა ჩაატარა პროგრამის პირველი ფაზის შეფასება, რომლის მიზანი იყო ნარკოტიკების მომხმარებლებელთა თემის პროგრამაში ჩართვისა და მკურნალობის პროცესში არსებული ხარვეზების და ბარიერების შესწავლა.

ზიანის შემცირების ქსელის პროექტის „ ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა უფლებებისთვის“ ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია ორი საკონსტიტუციო სარჩელი, რომელთა დავის საგანს წარმოადგენს „სისხლის სამართლის კოდექსის“, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკუსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სასახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლების შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციასთან.

მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (ბეჟა წიქარიშვილის საქმე) გახდა კანონმდებლობაში იმ მცირედი ცვლილებების საფუძველი, რომელიც განხორციელდა მარეზუნასთან დაკავშირებით. ქსელი სწორედ სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ცდილობს აიძულოს ხელისუფალი უარი თქვას მომხმარებლების კრიმინალად აღიარებაზე, უარი თქვას სამოქალაქო უფლებების ავტომატურ რეჟიმში ჩამორთმევაზე, უარი თქვას წამებასთან გათანაბრებულ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე.

აშკარაა, რომ ქვეყანაში არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკა არ არის მხოლოდ სამართლებრივი სისტემების მოუწესრუგებლობის შედეგი, არამედ იგი არის ჰუმანური მიდგომების დამკვიდრებისთვის პოლიტიკური ნების არარსებობის შედეგი. შესაბამისად ჩვენი ყველა მცდელობა მიმართულია პოლიტიკის განმსაზღვრელებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა ნების ცვლილებისკენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული გახლავთ მცირედი იმ საქმიანობიდან, რასაც ქსელი ახორციელებს, მე იმედი მაქვს ერთობლივი შრომით და ძალისხმევით შევძლებთ იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც დგას ჩვენს წინაშე.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ქსელის ყველა წევრ ორგანიზაციას გისურვებთ წარმატებას.

პატივისცემით

კახა კვაშილავა

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2. ქსელის შესახებ

2.1. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მისიის განაცხადი

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი 2006 წლის სექტემბერში დაფუძნდა. ქსელი წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა. მასში გაერთიანებულია ორგანიზაციები, რომელთა უშუალო საქმიანობის სფერო ნარკოტიკულ საშუალებების ავად მოხმარებასთან დაკავშირებულ და მომიჯნავე საკითხებს ეხება. ქსელის თითოეული ორგანიზაცია დამოუკიდებელია და მათი საქმიანობის ნაწილია ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ხედვაა - ქვეყანა, სადაც ნარკოტიკების მოხმარება განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და არა დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხი; ხოლო ნარკომომხმარებლებს ხელი მიუწვდებათ ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის ზიანის შემცირების სერვისებზე; აქვთ შესაძლებლობა იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი.

ქსელის წევრებს სწამთ, რომ ზიანის შემცირება არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ემსახურება ინფექციების (აივი, ბ და ც ჰეპატიტები, ტუბერკულოზი, სგგი) გავრცელების პრევენციას და ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილობის შემცირებას.

ქსელის მისიაა გააერთიანოს და გააძლიეროს ზიანის შემცირების სფეროში მოქმედი ორგანიზაციები და თანამოაზრეები; შექმნას ერთიანი ეროვნული პლატფორმა ზიანის შემცირების პოლიტიკის და პროგრამების ეფექტური განხორციელებისა და ადვოკატირებისათვის.

ქსელი აღიარებს და პატივს სცემს ჰუმანიზმის, ტოლერანტობის, პარტნიორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს. ქსელს სწამს, რომ ყოველ ადამიანს აქვს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უფლება და გააჩნია პოტენციალი სარგებელი მოუტანოს საკუთარ თავს და საზოგადოებას.

2.2 ქსელის სტრუქტურა

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის უზენაესი ორგანოა წევრთა საერთო კრება.


ორგანიზაციას ხელმძღვანელობს საერთო კრების მიერ არჩეული ცხრა წევრისგან შემდგარი გამგეობა.


ქსელის გამგეობა წარმოადგენს მმართველ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს ქსელის პოლიტიკას (მისია, სტრატეგია, პარტნიორობა, ახალი წევრების მიღება, მართვის პრინციპები და პროცედურები) და უზრუნველყოფს მეთვალყურეობას მის შესაბამის განხორციელებაზე.

გამგეობის მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი მართავს ქსელის ყოველდღიურ მუშაობას, ახორციელებს ოპერაციულ დაგეგმარებას, პასუხისმგებელია მიმდინარე საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.

აღმასრულებელი დირექტორის მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობს ორგანიზაციის ფინანსური ჯგუფი და ასევე ცალკეული პროგრამის/პროექტის მენეჯერები და თანამშრომლები.

2.3. ორგანოგრამა





2.4. ქსელის წევრები

1.	სამედიცინო ფსიქოლოგიური კავშირი "ნაბიჯი მომავლისკენ"	თელავი, ნინოშვილის ქ.#39 გორი, ბესიკის ქ.N3/6, ტელ: 8370 270 172; 5 99 37 02 55 e-mail - nabiji02@gmail.com
2.	ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია "ქსენონი"	ზუგდიდი, პ.უბერის ქ.#1, ტელ: 5 99 71 97 57; 0415 25 40 10 e-mail - associationxenon@gmail.com ; ninojanashia@yahoo.com
3.	კავშირი "იმედი"	ბათუმი, გორგილაძის ქ. # 66,ბ.51, ტელ: 595 275 154; 0422 27 18 91. e-mail - mira.sarvina@mail.ru
4.	ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი "ახალი გზა"	თბილისი, კოსტავას ქ. 46/50, ტელ 2 91 17 01/ 5 99 10 28 76 ქუთაისი-პუშკინის ქ. №10 სამტრედია - რესპუბლიკის ქ.#5 e-mail - office@newway.ge ; daliusharidze@gmail.com
5.	განათლების ეროვნული განვითარების, სოც. რეაბილიტაციისა და ისტორიულ ღირებულებათა დაცვის ასოციაცია "ორდუ"	ფოთი, კოკაიას ქ. 39, ტელ 5 77 45 45 95 e-mail - vakhogamsakhurdia@yahoo.com

6.	დაავადებათა პრევენციის, კონტროლისა და გაუვრცელებლობის ასოციაცია	თბილისი , ქავთარაძის #21, ტელ: 599 94 1818
7.	ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი (მდექ)	თბილისი, ზ.ჭავჭავაძის ქ. 9, ტელ: 2950670
8.	ქალთა კლუბი "პეონი"	თბილისი, ზ.ჭავჭავაძის ქ. 9, ტელ: 230 78 78
9.	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება	თბილისი, ჯ. კახიძის ქ.# 15, , ტელ: 296 10 92, 247 64 89, 247 64 82
10.	საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"	თბილისი, ქურდიანის 21, ცხელი ხაზი 225 18 19; ბათუმი- ტელ: 27 42 13; ქუთაისი- ტელ: 26 50 26; ზუგდიდი -ტელ: 22 92 99
11.	„პოზიტიური არჩევანი“	თბილისი, ტ.ტაბიძის 41, ბ. 64, ტელ: 218 26 16
12.	რეაბილიტაციის და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარი“	თბილისი, ზ.გამსახურდიას # 41 ა , ტელ: 2 221078
13.	ა/ო „ჰეპა პლუსი“	თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.#75, ტელ: 2 96 48 78/ 5 99 27 10 51 e-mail - mananasolog@yahoo.com
14.	კავშირი „ახალი ვექტორი“	თბილისი, ქ. თბილისი, მცხეთის ქ.#9 , რუსთავი - ქ.რუსთავი, კოსტავას ქ.8, ბ.#2. ტელ:2 77 37 90/ 5 55 10 19 94. e-mail - newvector444@yahoo.com
15.	ზურაბ დანელია სახ.კავშირი „თანადგომა“	თბილისი, ა. მაჭავარიანის #05/010. , ტელ; 599 457 454. e-mail - mbaratashvili@uniontanadgoma.org.ge
16.	ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.16 ა, მე-14 სართული, ტელ: 237 73 49
17.	ფენიქსი -2009	ოზურგეთი, 26 მაისის ქ.1ა ტელ: 07 90 55 87 00/ 5 99 11 64 01. e-mail - otari.jijieshvili@mail.ru
18.	რუბიკონი	ქუთაისი, საღარაძის ქ. 4 ტელ (მობ.): 597 40 07 05

19.	ალტერნატივა ჯორჯია	თბილისი, ნუცუბიძის 14ა, ოფისი #2, ტელ: 2391166, 2396699; ვებგვერდი: www.altgeorgia.ge
20.	მსოფლიო ექიმები - საფრანგეთი	თბილისი, გუთნის ქ. 46 ტელ: 274 56 77
21.	ჰერა XXI	თბილისი, კ. გამსახურდიას გამზ., კვარტალი 2, კორპუსი 9, ტელ: 237 92 23, 214 28 51
22.	რეალური ხალხი, რეალური ხედვა	თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 10 ტელ: 790 96 55 80
23.	კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი	თბილისი, პეკინის 22, ტელ: 599 28 45 54
24.	ა(ა)იპ "აკესო, საერთაშორისო ორგანიზაცია ქალებისთვის"	თბილისი, პეკინის 11 ა. ტელ: 5 55 400 425. e-mail - iraklikirtadze@yahoo.com
25.	ადამიანის უფლებების ინსტიტუტი	ტელ: 5 77 71 79 19; პეკინის# 41 e-mail - shoshikelashvilihri@gmail.com
26.	"ადიქციის კვლევისა და კონსულტაციის ცენტრი"	თბილისი, ს. მგალობლიშვილის # 3. ტელ: 2 38 31 24/ 5 93 38 29 55 e-mail - arcc.ge@gmail.com

2.5. გამგეობა

1. "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" - კახა კვაშილავა-გამგეობის წევრი, თავმჯდომარე
2. „რეალური ხალხი, რეალური ხედვა“-ლამა თვალთმომხილ-გამგეობის წევრი
3. „რუბიკონი“-ზაზა ქარჩხაძე-გამგეობის წევრი
4. ა/ო „ჰეპა პლიუსი“-მანანა სოლოღაშვილი
5. „ფენიქსი 2009“-ოთარ ჯიჯიეშვილი-გამგეობის წევრი
6. „მალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ (მდექ)- ნატო შავლაყაძე-გამგეობის წევრი
7. ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა“-დალი უშარიძე
8. „დაავადებათა პრევენციის, კონტროლისა და გაუვრცელებლობის ასოციაცია“- მანანა ბერუჩაშვილი-გამგეობის წევრი
9. „ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის წარმომადგენელი-გიორგი ბოჭორიშვილი-გამგეობის წევრი.

2.6. სამდივნოს თანამშრომლები

კახა კვაშილავა-აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მობ: +995 599275208

ელ-ფოსტა: k.kvashilavaa@hotmail.com

პროგრამული განყოფილება

მაკა გოგია-პროექტის დირექტორი

მობ:+995 599218123

ელ-ფოსტა: mgogia@hrn.ge

მედეა ხმელიძე- გლობალური ფონდის რეგიონალური პროგრამის „ზიანის შემცირება მუშაობს-დააფინანსეთ!“ მენეჯერი საქართველოში.

მობ: +995 599355436

ელ-ფოსტა: mkhmelidze@hrn.ge

მარინა ასათიანი-მედია კოორდინატორი

მობ: +995 599119999

ელ-ფოსტა: marinaasatiani@yahoo.com

ხათუნა ქუთათელაძე - მონიტორინგის და შეფასების სპეციალისტი

მობ: +995 599260603

ელ-ფოსტა: kh.kutateladze@yahoo.com

მამუკა ჭელიძე - პროექტის კოორდინატორი

მობ: +995 599539367

ელ-ფოსტა: mchelidze@hrn.ge

ეკატერინე ჩხეტია - გლობალური ფონდის რეგიონალური პროგრამის „ზიანის შემცირება მუშაობს-დააფინანსეთ!“ ასისტენტი საქართველოში.

მობ: +995 598561418

ელ-ფოსტა: echkhetia@hrn.ge

გური ჯიქია - პროექტის ასისტენტი

მობ: +995 595142888

ელ-ფოსტა: gjikia@hrn.ge

ფინანსური და ადმინისტრაციული განყოფილება

ეთერ თარაშვილი - ფინანსური მენეჯერი

მობ: +995 599630428

ელ-ფოსტა: etarashvili@hrn.ge

ნატალია კუჭაიძე - ბუღალტერი

მობ: +995 599927497

ელ-ფოსტა: nkuchaidze@hrn.ge

ალექსი კუჭაიძე - ლოჯისტიკი

მობ: +995 597992866

ელ-ფოსტა: akuchaidze@hrn.ge

გიორგი გოგუა - სოციალური მედიის კოორდინატორი

მობ: +995 551126126

ელ-ფოსტა: giogogua@gmail.com

ალექსი ფეიქრიშვილი - აიტის სპეციალისტი

მობ: +995 599588746

ელ-ფოსტა: thisaint@mail.ru

ნათელა გაფრინდაშვილი - დამლაგებელი

2.7. მიმდინარე პროექტები და დონორები

1. ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისთვის და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის აივ პრევენციული სერვისის მიწოდება.
 - **დონორი:** გლობალური ფონდი/დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი
 - **გეოგრაფიული არეალი:** სერვის ცენტრი 11 ქალაქში, მობილური ამბულატორიებით ქვეყნის მაშტაბით 65 ქალაქი/რაიონი
 - **პროექტის ხანგრძლივობა:** 01.08.2016-31.12.2017
 - **პროექტის მიზანი:** აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების პროფილაქტიკა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა და მათ სქესობრივ პარტნიორებს შორის.
2. რეგიონალური პროექტი: „ზიანის შემცირება მუშაობს-დააფინანსეთ!“
 - დონორი:** გლობალური ფონდი/ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი
 - **გეოგრაფიული არეალი/პარტნიორები**
 - **საქართველო:** თბილისი, ქუთაისი, ოზურგეთი.
 - **ბელორუსი:** ბელორუსიის საზოგადოებრივი ასოციაცია „პოზიტიური მოძრაობა“
 - **მოლდოვა:** გაერთიანება აივ/შიდსის პრევენციისა და ზიანის შემცირებისათვის
 - **ყაზახეთი:** ყაზახეთის აივ დადებით ადამიანთა გაერთიანება
 - **ტაჯიკეთი:** არასამთავრობო ორგანიზაცია „სპინ პლუს“
 - **ლიტვა:** არასამთავრობო ორგანიზაცია „გალიუ გივენტი“
 - **პროექტის ხანგრძლივობა:** 2014-2017
 - **პროექტის მიზნები:**

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ზიანის შემცირების პროგრამებზე ინვესტიციის საჭიროების ადვოკატირება სამოქალაქო სექტორის, კერძოდ კი ნარკომომხმარებლების თემის გაძლიერებით და მათი უშუალო ჩართულობით.

3. რეგიონალური პროექტი „აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური პლატფორმა ქალების, გოგონებისა და ტრანსგენდერებისთვის აივ/შიდსის დაჩქარებული პასუხისთვის.“
 - **დონორი:** რობერტ კარი/ალიანსი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის
 - **გეოგრაფიული არეალი:** ქ. თბილისი
 - **პროექტის ხანგრძლივობა:** 2016 წლის აპრილი-2017 წლის მარტი.

➤ **პროექტის მიზნები:**

გააუმჯობესდეს გლობალური და რეგიონალური ქსელების და მათი წევრების გენდერის საკითხზე მუშაობის უნარები მართვისა და ანგარიშვალდებულების კუთხით, რათა გააუმჯობესდეს მაღალი ინტერვენციების ხარისხი და გახდეს გენდერულად მგრძობიარე მაღალი რისკის აუთვისებელი პოპულაციისათვის.

4. **პროექტი-**“აივ-ისა და ჰეპატიტი ც-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში”

➤ **დონორი:** ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

➤ **პერტნიორები:** ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, „ახალი ვექტორი“, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი (cpcr), EMC

➤ **გეოგრაფიული არეალი:** საქართველო

➤ **პროექტის ხანგრძლივობა:** 2016 წლის იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბრი.

➤ **პროექტის მიზნები:**

გაძლიეროს ზიანის შემცირების ეროვნული ქსელის 26 ორგანიზაცია, აივ ინფექცია შიდსისა და ჰეპატიტის პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების ეროვნული პასუხის აქტიური თანამონაწილეობისათვის, გაძლიერების პრინციპებისა და გენდერულად მგრძობიარე მიდგომების გათვალისწინებით, პოლიტიკის დიალოგში აქტიური ჩართულობისა და ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ანგარიშვალდებულებების მექანიზმების პრაქტიკაში ამუშავების ხელშეწყობისათვის.

5. **პროექტი-** „ჰოლისტური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში“.

➤ **დონორი:** კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი

➤ **გეოგრაფიული არეალი:** საქართველო

➤ **პროექტის ხანგრძლივობა:** 2016 წლის 1 აპრილი- 2016 წლის 31 დეკემბერი.

➤ **პროექტის მიზანი:**

ც ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ფაზის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.

6. **პროექტი-** „ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა უფლებებისთვის“

➤ **დონორი:** ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

➤ **გეოგრაფიული არეალი:** საქართველო

➤ **პროექტის ხანგრძლივობა:** 01.09.2014.-31.12.2016.

➤ პროექტის მიზანი:

ნარკოდანაშაულზე ნასამართლევ პირთათვის არასამართლიანად შეზღუდული სამოქალაქო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების აღდგენისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

2.8. ფინანსური ანგარიში

მონაცემები 2016 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე მიღებული სახსრების შესახებ (ჩარიცხული თანხები)

დაფინანსების წყარო	მიღებული თანხის ოდენობა ლარში	პროცენტული მაჩვენებლები
დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (NCDC)	2761568	90.63%
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) "პოლისტიური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში"	55148.89	1.81%
გლობალური ფონდი (EHRN)	169292	5.56%
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 3-პროექტი: "ვაგრძელებთ წინსვლას: საქართველოში მტკიცებულებებზე დამყარებული ნარკო და ჯანდაცვის პოლიტიკის ადვოკატირება ნარკოტიკების მომხმარებლებთან მიმართებაში")	0	0.00%
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 4-პროექტი: "ნარკოდანაშაულზე გასამართლებულ პირთა უფლებებისთვის")	0	0.00%
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 5-"აივ-ისა და ჰეპატიტი ც-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში")	59007	1.94%
საწევრო შენატანები/შემოწირულობა	0	0.00%

სტუდენტების პრაქტიკა	2153	0.07%
სულ:	3047168	100.00%

მონაცემები 2016 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე დახარჯული თანხების შესახებ დაფინანსების წყაროების შესაბამისად

დაფინანსების წყარო	დანახარჯები ლარში	პროცენტული მაჩვენებლები
დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (NCDC)	2851280	87.37%
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) "ჰოლისტური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში"	49109.92	1.50%
გლობალური ფონდი (EHRN)	309853	9.50%
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 3-პროექტი: "ვაგრძელებთ წინსვლას: საქართველოში მტკიცებულებებზე დამყარებული ნარკო და ჯანდაცვის პოლიტიკის ადვოკატირება ნარკოტიკების მომხმარებლებთან მიმართებაში")	159	0.00%
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 4-პროექტი: "ნარკოდანაშაულზე გასამართლებულ პირთა უფლებებისთვის")	11832	0.36%
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 5-"აივ"-ისა და ჰეპატიტი ც-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში")	38937	1.19%
საწევრო შენატანები/შემოწირულობა	2	0.00%
სტუდენტების პრაქტიკა	2153	0.07%
სულ:	3263326	100%

მონაცემები 2016 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე დახარჯული თანხების მიზნობრიობის შესახებ

ხარჯების დასახელება	ლარი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (NCDC)	კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)	ლარი გლობალური ფონდი (EHRN)	ლარი ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 5)	ლარი ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 3)	ლარი ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" (OSGF 4)	ლარი საწევრო შენატანები	სტუდენტების პრაქტიკა	სულ:
დაქირავებულ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი სამემოსავლო გადასახადის ჩათვლით	201840		77669	11068		4458			295034
აქტივისტების ანაზღაურება/ერთჯერადი ჰონორარები და ფიზიკური პირების სხვა მომსახურებების ანაზღაურება სამემოსავლო გადასახადის ჩათვლით	61480		80545	11678				2152.54	155855
თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამართული ტრენინგები, სასწავლო შეხვედრები, მივლინება, ქსელური აქციები	15038		57319						72356
კვლევები/ტექნიკური დახმარება									0

სატელევიზიო თოქ-შოუს, პუბლიკაციის და საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემის ხარჯები (ვიდეორგოლის მომზადება, თოქ-შოუს ეთერში გასვლა, ბიულეტენის რედაქტირება/გამოცემა, საინფორმაციო მასალების გამოცემა)				7191					7191
განხორციელებული ღონისძიებებისათვის PR კამპანიის უზრუნველყოფა				9000					9000
ავტომანქანების დაზღვევა (10 ავტომანქანა)									0
მომხმარებელთა ქსელის ფუნქციონირება	31233								31233
პროგრამული ხარჯები (მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება)		48168							48168
აქტივობები (ზეგავლენის შესწავლა და დოკუმენტირება, გასაჩივრება კონსტიტუციურ სასამართლოში, მედია სტიპენდიები, აქციები)						6439			6439
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	96413	942	9080		159	935	2.36		107531
სუბ. კონტრაქტორი ორგანიზაციების ხარჯები	2445277		85240						2530517
სულ:	2851280	49110	309853	38937	159	11832	2.36	2152.54	3263326

ააკ "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის"-ს ბალანსი
 მომზადებულია 2017 წლის 01 იანვრისთვის

აქტივები	01-01-17
მიმდინარე აქტივები	ლარი
ფული საბანკო ანგარიშებზე	103565
მოკლევადიანი მოთხოვნები	315864
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1343
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები	
სულ მიმდინარე აქტივები	420771
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	54083
არამატერიალური აქტივები	
სულ გრძელვადიანი აქტივები	54083
სულ აქტივები	474855

ვალდებულებები	01-01-17
მიმდინარე ვალდებულებები	ლარი
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	223906
მიღებული ავანსი	100000
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	39490
სულ მიმდინარე ვალდებულებები	363395
კაპიტალი	
სხვა რეზერვები და დაფინანსება	110969
საწევრო შენატანები/შემოწირულობა	490
სულ კაპიტალი	111460
სულ ვალდებულება და კაპიტალი	474855

3. გამგეობის ანგარიში:

1. საანგარიშო პერიოდის დასაწყისში გამგეობის მიერ განიხილებოდა გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერთან დაკავშირებული სირთულეები. კერძოდ, მოსაძიებელი იყო თანხები თანხების როგორც ტენდერში მონაწილეობისთვის, ისე იმ ტექნიკური პერსონალისთვის, ვინც სამდივნოს მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას მოაწესრიგებდა და ატვირთავდა შესაბამის ვებგვერდზე. იმ ეტაპზე ქსელს ჰქონდა გარკვეული დეფიციტი სხვა პროექტების მხრივ, შესაბამისად გაჩნდა მნიშვნელოვანი პროექტის უწყვეტად განხორციელების საფრთხე.

2. გამგეობის მსჯელობის საგანი გახდა ქსელის წევრებს შორის გარკვეული კომუნიკაციის და ურთიერთობის დეფიციტის საკითხი და ქსელის აღმასრულებელ რგოლში არსებული პრობლემები. გამგეობას განცხადებებით მიმართეს, როგორც ქსელის წევრ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ისე სამდივნოს თანამშრომლებმა და ითხოვეს დახმარება აღმასრულებელ დირექტორთან არსებული კონფლიქტური ურთიერთობების გამოსწორების საკითხში. სამდივნოს თანამშრომლების განცხადებით ადგილი ქონდა აღმასრულებელ დირექტორს და მათ შორის პასუხისმგებლობების და მოვალეობების გადაფარვას, რაც არაეფექტურს ხდიდა სამუშაო პროცესს. არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გამგეობა შეხვდა და ინდივიდუალურად გაესაუბრა სამდივნოს ყველა თანამშრომლებს და მათ შორის დირექტორს. გამგეობამ აღმასრულებელ დირექტორს სთხოვა მისი კომპეტენციის ფარგლებში გაეკეთებინა ყველაფერი ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით.

3. გამგეობის რამდენიმე შეხვედრა მიემდგვნა ქსელის სამდივნოში შექმნილ პრობლემური სამუშაო გარემოს, დირექტორის მიერ არ ხდებოდა მიმდინარე ინფორმაციის გაზიარება გამგეობისთვის და არ იყო საჭირო დონის უკუკავშირი. გამგეობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღმასრულებელ დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ არ გაგრძელებულიყო ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხოლო აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შესრულება დაევალა გამგეობის თავმჯდომარეს.

სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით სამდივნოსა და გამგეობას შორის შედგა შეთანხმება დაუყოვნებლივ შესასრულებულ სამუშაოებზე:

1. სამდივნოში გაიმართოს ყოველკვირეული შიდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მოხდება ინფორმაციის გაცვლა პროექტებში მიმდინარე საკითხების შესახებ, გასული სამუშაო კვირას შეფასება და მიმდინარე კვირის დაგეგმვა. იმისთვის, რომ თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება თანამშრომლებისთვის და გამგეობისთვის, სამუშაო შეხვედრის ოქმები დაეგზავნოს სამდივნოს და გამგეობას.
2. ყოველი თვის ბოლოს, პროგრამის მენეჯერების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარედგენოს აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც თავის მხრივ ანგარიშებს მიაწვდის გამგეობას;
3. გამგეობის დავალებით სამდივნოს თანამშრომლებს დაევალა მედიასა და საჯარო სივრცეში ქსელის სახელით გაკეთებული განცხადების შინაარსი წინასწარ იყოს შეთანხმებული ქსელის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან. ასევე, ღონისძიებებზე თანამშრომლების წარგზავნა მოხდეს კომპეტენციის და მიზნობრიობის შესაბამისად და შეთანხმებულად.
4. გამგეობის გადაწყვეტილებით ქსელის სამდივნოს დაევალა 17 თებერვალს, სამოქალაქო საზოგადოებისთვის გამართულ ფორუმზე მინისტრის, დავით სერგეენკოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართულებით გაკეთებულ კრიტიკაზე (საუბარი შეეხო

სააფთიაქო ნარკომანიას, ზედოზირების თემას, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას) კომენტარის გაკეთება. აღნიშნულთან დაკავშირებით ქსელის სამდივნომ მოამზადა წერილობითი კომენტარი, რომელიც გაეგზავნა გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერს, ქ-ნ ცოვინარ საკანიანს. წერილის შინაარსი შეთანხმებული იყო გამგეობასთან.

5. 2016 წლის მარტში, ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელისგან (EHRN) მიღებული იქნა წერილი, რომელში ავტორი უთითებდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა მათი მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ეფექტურ განხორციელებას, რაც შეიძლება გამხდარიყო შემდგომი კონტრაქტის გაფორმებაზე უარის თქმის საფუძველი. წერილის ავტორის მიერ ასევე მოთხოვნილი იქნა ზიანის შემცირების ქსელის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები. გამგეობასთან შეთანხმებით მომზადდა და ადრესატს გაეგზავნა საპასუხო წერილი. დონორი ორგანიზაციიდან ხსენებული წერილის მიღების შემდეგ, უახლოეს დღეებში შედგა პროგრამის მენეჯერის ვიზიტი ვილნიუსში რეგიონალურ შეხვედრაზე, სადაც განხილულ იქნა პროექტის ეფექტურად განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორები. განხილვის საგანი იყო ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები. გამოიკვეთა, რომ GHRN-ის, როგორც პროექტის განმახორციელებლის მიმართ დონორის მხრიდან არსებობდა მეტის მოლოდინი და შესაბამისი მოთხოვნაც. განსაკუთრებით მოითხოვდნენ ადვოკაციის კომპონენტის გაძლიერებას. დონორთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება - პროექტში ადვოკაციის კონსულტანტის ჩართვის შესახებ, რომელსაც დაკონტრაქტებდა უშუალოდ EHRN-ი. საპასუხო წერილში EHRN-ის მიმართ გამოხატული იყო უკმაყოფილება ბოლო პერიოდში მათი ინიციატივით ჩატარებულ ღონისძიებებში GHRN-ის არასათანადო დონეზე ჩართულობასთან დაკავშირებით.
6. გამგეობასთან შეთანხმებით მომზადდა და გაეგზავნა წერილი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კახეთის რეგიონში C ჰეპატიტის პროგრამის (სამკურნალო ცენტრის გახსნა) ამოქმედების ვადებთან დაკავშირებით.
7. გამგეობასთან შეთანხმებით მომზადდა და გადაეგზავნა წერილი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრეპარატ ნალოქსონის სარეცეპტო რეჟიმიდან ამოღებასთან დაკავშირებით. გამგეობის წევრთა ჩართულობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, დარგის ექსპერტები, თემის წარმომადგენლები, NCDC-ის წარმომადგენლები და ა.შ.
8. გამგეობასთან შეთანხმებით შედგა და გადაეგზავნა წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქსელის სერვის ცენტრებში დასაქმებული სოც-მუშაკების, ასევე სერვის ცენტრებში და მობილურ ამბულატორიებში სერვისის მისაღებად მოსული თანასწორგანმანათლებლების და ბენეფიციარების დაკავების, იძულებით ნარკო ტესტირებაზე გადაყვანის, პროექტის აუთორიზაციის ავტომატიზაციის თვალთვალის, ბენეფიციარების დევნის და მობილური ამბულატორიების ჩხრეკასთან დაკავშირებით. ხსენებული საკითხების განსახილველად ქსელის ოფისში შედგა საინიციატივო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ თემის, ზმ ქსელის წევრი ორგანიზაციების (მათ შორის გამგეობის წევრები) და სამდივნოს წარმომადგენლები. წერილი განხილული იქნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 31 მაისის სხდომაზე; ქსელის წერილის პასუხად მიღებულ იქნა ბ-ნი ამირან გაყრელიძის წერილი, რომლითაც ის მიმართავდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და შინაგან საქმეთა სამინისტროს. წერილის ავტორი ხაზგასმით უთითებდა ზიანის შემცირების პროგრამების განხორციელების ეფექტური ინფრასტრუქტურის არსებობაზე და პროგრამის მნიშვნელობაზე; ასევე აღნიშნავდა, რომ ზიანის შემცირების პროგრამების ფუნქციონირების გარეშე, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის

შედეგებს საფრთხე ექმნებოდა; შესაბამისად, მაინ მოითხოვა სამთავრობო პლატფორმის შექმნა. აღნიშნული მოვლენების შემდგომ შედგა კომუნიკაცია სამინისტროებთან, მინისტრების და მოადგილეების დონეზე, რის შემდგომაც პრობლემა აღარ დგას ისეთი სიმწვავეით, ვიდრე მანამდე არსებობდა.

9. საანგარიშო პერიოდში გამგეობამ განიხილა თეთრი ხმაურის მოძრაობის წევრის ბექა წიქარიშვილის წერილი, რომლითაც ის ითხოვდა პეტიციაზე ხელმოწერას და საჯარო მხარდაჭერას უკრაინის შსს-ს და მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული მ. მ-ს და რ. ო-ის ნარკოტიკული თრობის ამსახველი ვიდეო მასალის გავრცელებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისთვის ზშ ქსელი „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის შესახებ ფლობდა მწირ ინფორმაციას, გამგეობისთვის არ იყო ცნობილი მოძრაობის და ზშ ქსელის პოლიტიკის თავსებადობა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჯარო მხარდაჭერისგან თავის შეკავების შესახებ.
10. საანგარიშო პერიოდში გამგეობასთან შეთანხმებით ქსელი გახდა ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის მიერ ინიცირებული ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის თანადამფუძნებელი.
11. საანგარიშო პერიოდში გამგეობამ განიხილა ორგანიზაცია ურანტთან დაკავშირებით არსებული პრობლემები. კერძოდ, ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებით 2016 წლის 01 ივლისიდან მას არ მიეცემოდა სახელმწიფო პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობა. ზშ ქსელის მიერ საჯარო განცხადება არ გაკეთებულა, ვინაიდან ორგანიზაცია ურანტი აწარმოებდა მოლაპარაკებებს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. შესაძლებელი იყო მკვეთრ საჯარო განცხადებებს ხელი შეეშალა მოლაპარაკებების პროცესისთვის.
12. საანგარიშო პერიოდში გამგეობის მიერ შესწავლილ იქნა შეფასების დოკუმენტი, რომელიც ჩატარდა ზიანის შემცირების ქსელის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გაძლიერების შესაძლებლობების შესწავლის მიზნით. შეფასება შესრულდა შემდეგი პუნქტების შესაბამისად: ტექნიკური შესაძლებლობები; ორგანიზაციული კულტურა; ანგარიშვალდებულება; პოლიტიკური ნება. შეფასებამ გამოავლინა ხარვეზები გენდერულად სენსიტიური მმართველობის და პროგრამირების თვალსაზრისით, აღნიშნულის გათვალისწინებით შეიქმნა გენდერზე სამუშაო ჯგუფი, გაიწერა სამოქმედო გეგმა რომელიც დამტკიცდა და გადაიხედა გამგეობის მიერ .

4. ქსელის საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი 01.01.2016-01.01.2017

გლობალური ფონდის პროექტი: „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC“

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მოიცავს ზიანის შემცირების 14 სერვის ცენტრის ადმინისტრირებას და საადვოკაციო ღონისძიებებს.

4.1. საადვოკაციო ღონისძიებები:

11 იანვარს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღო აღმასრულებელი,

საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის და პროფესიული თემის წარმომადგენლებმა, ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელმა. წარმოდგენილ იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ეხებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებს.

29 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ შსს მინისტრის მოადგილეები, წარმომადგენლები დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელიდან.

განხილულ იქნა ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხები და სამომავლო თანამშრომლობის ასპექტები. შეხვედრაზე ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის, ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელისა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლების მიერ გაკეთდა მოხსენება ზიანის შემცირების პროგრამების მნიშვნელობაზე, და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მნიშვნელოვან როლზე. წარმართა მსჯელობა რასაც ზიანის შემცირების პროგრამა პერიოდულად პოლიციასთან ურთიერთობისას აწყდება. განხილულ იქნა სამართალდამცველი პირების მიერ ბათუმის სერვის ცენტრის ბენეფიციარების დევნის, თვალთვალის და ნარკო ტესტირებაზე იძულებით გადაყვანის ფაქტები, ასევე სხვა სერვის ცენტრებში სოციალური/აუთორიზ მუშაკების დაკავების და ცენტრების მანქანების თვალთვალის შესახებ არსებული ფაქტები. მხარეებმა იმსჯელეს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტის მხარდაჭერაზე, რომელიც მობილური ამბულატორიების მიერ მაღალი რისკის ჯგუფის ბენეფიციარების მომსახურებას გულისხმობს, შსს სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ ფაქტებზე მოახდენენ რეაგირებას და შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე. მათი დაპირების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოები მომავალში ხელს შეუწყობენ ზიანის შემცირების სერვისებისთვის აუცილებელი და ადეკვატური გარემოს უზრუნველყოფას.

2015 წლის წლის ბოლოს ზიანის შემცირების ქსელის პროექტის „ნარკოდანაშაულზე გასამართლებულ პირთა უფლებებისთვის“ ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან, „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი“, „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“ და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან ერთად შრომითი უფლებების ჩამორთმევასთან, ნარკოტიკული ნივთიერებების ოდენობებთან და არაადეკვატურ სასჯელის ზომებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა ორი კოლექტიური სარჩელი.

GeNPUD-ის აქტივისტების მიერ განხორციელდა მოსარჩელე პირების მობილიზება, რომლებსაც ერთის მხრივ სისტემური ცვლილებების ინიცირებაში აქვს მონაწილეობის მიღების სურვილი, ხოლო მეორეს მხრივ გასამართლებულნი არიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით და ამჟამად იხდიან სარჩელს.

თებერვლის თვეში ნარკოტიკის მომხმარებელთა მობილიზაციისა და შემდგომი უნარების გაძლიერებით და მათი ჩართვით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, ქვეყანაში არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამსუბუქებლად, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მხარდაჭერით ნარკოტიკების

მომხმარებელთა საქართველოს ქსელი გამოვიდა ინიციატივით წარმართოს ფართო საზოგადოებრივი დიალოგი და შეიქმნას თანაბარმონაწილეობაზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა, ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის, ნარკოტიკების მოხმარების, დამოკიდებულების, აივ/შიდსის, C ჰეპატიტის სფეროებში მოქმედი ადგილობრივი, საერთაშორისო და სათემო ორგანიზაციების ჩართულობით არსებული გამოწვევების კოორდინირებული საპასუხო ქმედებების უზრუნველსაყოფად. ფართო საზოგადოებრივი დიალოგისათვის დაიგეგმა „ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის“ შექმნა - რომელიც იმუშავებს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა საჭიროებებზე ეფექტიანი პასუხის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოების შემუშავებაზე.

მარტის თვეში „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ (GHRN) და „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელისა“ (GeNPUD) ორგანიზებით, მიმდინარეობდა განახლებული საადვოკაციო კამპანიის დაგეგმარება, გაიმართა სამუშაო ჯგუფების შეხვედრები 11 და 30 მარტს. აღნიშნული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ჩამოყალიბდა საადვოკაციო კამპანიის კონცეფცია, დაიგეგმა ყველა აქტივობა თუ ღონისძიება.

საადვოკაციო კამპანიის ფარგლებში კვლავ აქტიურად გრძელდებოდა ქსელის აქტივისტების შეხვედრები ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებთან, ჩანაცვლებით თერაპიაში მყოფ პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან. მიეწოდებოდათ ინფორმაცია საკუთარი უფლებების, უსაფრთხო ინექციის, სისხლით გადამდები დაავადებების, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისა და ზედოზირების შემთხვევის მართვასთან დაკავშირებით.

მაისში, ქ. ქუთაისში, სახალხო დამცველის ინიციატივით გაიმართა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა, სადაც „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“ იყო წარმოდგენილი. შეხვედრაზე სახალხო დამცველმა წარმოადგინა ანგარიში 2014 – 2015 წლებში და დღემდე ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის შედეგებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ომბუდსმენის ანგარიში საკმაოდ კრიტიკული იყო არსებული პრაქტიკის მიმართ, იქ მოყვანილი მონაცემები სასიამოვნო მოსასმენი არ ჩანდა შეხვედრაში მონაწილე შსს-ს წარმომადგენლისთვის.

26 ივნისს, თბილისში, პარლამენტის შენობასთან „ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს“, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის (GHRN) და ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელისა (GeNPUD) ორგანიზებით რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ გაიმართა საპროტესტო აქცია - „სოლიდარობა რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ“. კამპანიის მიზანი იყო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზება რეპრესიული ნარკოპოლიტიკით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამცირებლად. აქციას შეურთდნენ მონაწილეები რეგიონებიდან: აქციაში სამასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საპროტესტო აქციის ფარგლებში თბილისში, პარლამენტის წინ გაიმართა თეატრალიზებული პერფორმანსი, აქციის ფარგლებში გამოქვეყნდა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე. ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის აქტივისტებისა და მხარდამჭერი ჟურნალისტების დახმარებით კამპანიის გვერდზე განთავსდა ვიდეოები, რომლებშიც როგორც მოქმედმა პოლიტიკოსებმა, ისე საზოგადოებისთვის ცნობადმა

ადამიანებმა, დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრებები რეპრესიული ნარკოპოლიტიკის შესახებ. კამპანიის შესახებ სიუჟეტები გაშუქდა მასობრივი მედია საშუალებებით.

26 ივნისს, თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ (GHRN) და „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის“ (GeNPUD) ორგანიზებით გაიმართა პრესკონფერენცია და მრგვალი მაგიდა.

შეხვედრა მიემდგვნა „ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს“, ღონისძიებაზე განხილულ იქნა რეპრესიული ნარკოპოლიტიკის უარყოფითი შედეგები, ხაზი გაესვა მოქმედი ნარკოპოლიტიკის არაეფექტურობას და დამანგრეველ შედეგებს, როგორც მომხმარებელთა თემისათვის ასევე საზოგადოებისთვის.

ივლისის და აგვისტოს თვეებში ქსელის აქტივისტების მიერ ხორციელდებოდა ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის წარმომადგენლების ინფორმირება უფლებრივი კუთხით. კერძოდ ნარკოტიკების მომხმარებლებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია „ქუჩის ნარკოტესტირებისას“ პოლიციელების მხრიდან უფლებების დარღვევების შესახებ და იმ მექანიზმების თაობაზე, რომლითაც შესაძლებელია თავი დაიცვან მსგავსი შემთხვევებისგან. მათ მიერ ხორციელდებოდა შუამდგომლობის ფორმის გავრცელება ნარკოტიკების მომხმარებლებში. აღნიშნული დოკუმენტი - შუამდგომლობის ფურცელი აძლევს საშუალებას ნარკოტიკების მომხმარებელს მისი დაკავებისას განაცხადოს უარი როგორც ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე, ასევე კლინიკური დათვალიერების გავლაზე, მისთვის კონსტიტუციის 42 მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლების ფარგლებში.

31 აგვისტოს ღონისძიებათან დაკავშირებით ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის აქტივისტების მიერ ხორციელდებოდა ნარკოტიკების მომხმარებლებისა და მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მობილიზება აქციაში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად.

ნოემბრის თვეში, „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელისა“ (GeNPUD) და ა/ო „თანადგომას“ ინიციატივით ადამიანის უფლებების დღესთან დაკავშირებით დაიგეგმა რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ მორიგი საპროტესტო აქციის გამართვა. დაგეგმარების სამუშაო პროცესში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“, „მსოფლიო ექიმები საფრანგეთი“ და „ჰეპა პლიუსი“. აღნიშნულთან დაკავშირებით ნოემბრის თვის განმავლობაში ა/ო „ახალი ვექტორისა“ და ა/ო „თანადგომას“ ოფისებში ყოველკვირეულ რეჟიმში გაიმართა რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლებშიც GeNPUD-ის აქტივისტებთან ერთად შემოთხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყდა, რომ აქცია გაიმართება 7 დეკემბერს, ქ. თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2016 წლის 7 დეკემბერს, ქ. თბილისში, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დღესთან დაკავშირებით, ქვეყანაში არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ, გაიმართა მორიგი საპროტესტო აქცია. აქციის ორგანიზატორები იყვნენ „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“ (GeNPUD), ა/ო „თანადგომა“, „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“ და პაციენტთა თვითორგანიზაცია „ჰეპა პლიუსი“.

4.2. საადვოკაციო კამპანიები

28 ივლისს განხორციელდა, „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის“ (GeNPUD), პაციენტთა საკონსულტაციო საბჭოს (GeCAB) და ზიანის შემცირების ქსელის (GHRN) წევრი ორგანიზაციების მიერ „ჰეპატიტის მსოფლიო დღისადმი“ მიმდგნილი კამპანია, მიზანი: - ზიანის შემცირების მიდგომის პრიორიტეტიზაცია ელიმინაციის პროგრამაში. დეკრიმინალიზაციის ელიმინაციის წინაპირობად

დაყენება. ეროვნული კამპანიის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა: **“ელიმინაცია დეკრიმინალიზაციის მოლოდინში”**. შეხვედრის გამართვის მიზანს წარმოადგენდა ზიანის შემცირების მიდგომის მნიშვნელობის წარმოჩენა ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაციის მისაღწევად. მრგვალი მაგიდა ჩატარდა "მწერალთა სახლში" და მას ესწრებოდნენ სფეროში მომუშავე სპეციალისტები, პაციენტთა სათემო ორგანიზაციების წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო სამსახურების წარმომადგენლები. გაიმართა რამდენიმე პრეზენტაცია: ზიანის შემცირების სერვისებში C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამების პილოტირების საკითხებზე; ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლების მკურნალობის პროცესში თანასწორთა მხარდაჭერის მნიშვნელობაზე; ელიმინაციის პროგრამაში ზიანის შემცირების ღონისძიებების და წარმატების ინდიკატორების მოკლე მიმოხილვა; სადამსჯელო ნარკოპოლიტიკაზე და ელიმინაციის მისაღწევად ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციის საჭიროებაზე.

19:00 სთ-ზე თბილისში რუსთაველის მეტროდან პარლამენტის შენობამდე გაიმართა აქცია/ მსვლელობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა პაციენტებისა და ზოგადად მოსახლეობის ინფორმირება C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

ჩატარდა მობილური ამბულატორიებით C ჰეპატიტზე სკრინინგი ზოგადი პოპულაციისთვის. აქციის ფარგლებში მოსახლეობას მიეცა შესაძლებლობა გაეგო საკუთარი სტატუსის შესახებ. ანალოგიური ღონისძიებები გაიმართა საქართველოს 8 ქალაქში. GeNPUD, GHRN და GeCAB ის ორგანიზებით გამართულ ეროვნული კამპანიის ფარგლებში მოხდა მასმედიის საშუალებების მობილიზება, კამპანიის ფარგლებში გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა პრესის, ტელევიზიის და ინტერნეტ მედიის საშუალებებით:

31 აგვისტოს საადვოკაციო კამპანიის „არ დასაჯო“ ფარგლებში „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელისა“ (GeNPUD) და „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ (GHRN) ორგანიზებით 2016 წლის 31 აგვისტოს „ზედოზირების შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით გაიმართა ეროვნული კამპანია, რომლის ძირითადი გზავნილია: არ დასაჯო! გადავარჩინოთ სიცოცხლე!

საქართველოს 10 ქალაქში (თბილისი, თელავი, გორი, რუსთავი, ქუთაისი, სამტრედია, ზუგდიდი, ოზურგეთი ბათუმი) მარადიული ხეების დარგვის აქციით, პატივი მიაგეს ზედოზირებით გარდაცვლილ ადამიანებს და რეპრესიული ნარკოპოლიტიკის პირობებში დაღუპულ ნარკომომხმარებელთა ხსოვნას, მეორე მხრივ სოლიდარობა გამოუცხადეს ნარკოტიკების მომხმარებლებს და მათი ოჯახის წევრებს, რათა მოხდეს მომხმარებლების საზოგადოებაში ინტეგრაცია ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. სხვადასხვა ქალაქებში აქციის მონაწილეებმა გააპროტესტეს ქვეყანაში არსებულ ძალადობრივი ნარკოპოლიტიკა, რომელიც მიმართულია ნარკოტიკების მომხმარებლების დასჯასა და მათ იზოლაციაზე. აქციის ადგილობრივი ორგანიზატორი ორგანიზაციების მიერ მოსახლეობაში გავრცელებულ იქნა საინფორმაციო მასალები და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ზედოზირების შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღო ნარკოტიკების მომხმარებლებმა. ადგილობრივ დონეზე ღონისძიებებს ორგანიზება გაუწია ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის (GeNPUD) წევრმა თვითორგანიზაციებმა და საინიციატივო ჯგუფებმა და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის (GHRN) წევრმა ორგანიზაციებმა. საქართველოს ქალაქებში განხორციელებული ეროვნული კამპანია გაშუქდა მასმედიის საშუალებებით.

1 დეკემბერს - „შიდსის მსოფლიო დღის“ ფარგლებში გაიმართა ეროვნული კამპანია, რომლის მიზანს წარმოადგენდა შიდსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება ქვეყანაში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და საზოგადოებრივი ცოდნის, ცნობიერების და მიმღებლობის ამაღლება აივ ინფექცია/შიდსსა და მასთან დაკავშირებულ

საკითხებზე მიზანმიმართული საინფორმაციო/მედია აქტივობების განხორციელების გზით. ასევე ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოებაში აივ ინფექციისა და ვირუსული C ჰეპატიტის დროული დიაგნოსტიკის და გამოვლენის უზრუნველყოფა ტესტირების ფართომასშტაბიანი კამპანიის განხორციელების გზით. ჩატარდა ეროვნული კონფერენცია - კონფერენციის ფარგლებში მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა „წითელი ლენტის“ დაჯილდოების ცერემონია, რომლის ფარგლებში გადაეცა ჯილდოები აივ/შიდსის სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

შიდსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ეროვნული კამპანიის ღონისძიებების ფარგლებში 4 დღის განმავლობაში (28.11 - 01.12.) თბილისი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისსა და გორში განხორციელდა აივ ინფექცია/შიდსზე და C ჰეპატიტზე უფასო ტესტირების აქცია. ტესტირება ჩატარდა „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების მობილური ამბულატორიების მეშვეობით, აგრეთვე ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წევრი ორგანიზაციების მიერ 1 დეკემბერს გაიმართა ღონისძიება - მრგვალი მაგიდა.

3 დეკემბერს შიდსის მსოფლიო დღის ფარგლებში განხორციელდა საზოგადოებრივი აქცია, რომელიც მიზნად ისახავდა აივ დადებითი და შიდსით დაავადებული ადამიანების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის დონის შემცირებას და საზოგადოებრივი მხარდაჭერის ფორმირებას. აქციის ფარგლებში გაიმართა აივ დადებითი და ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. აივ დადებითი ადამიანების მიმართ საკუთარი მხარდაჭერის დასაფიქსირებლად გამოფენას ასევე შეუერთდა ხელნაკეთი და სხვა სახის ნივთების სხვა კომპანიები.

4.3. სათემო მობილიზაცია

2016 წლის 26-28 დეკემბერს, ქ თბილისში, სასტუმრო „ტიფლის ლაერთონში“ გაიმართა GeNPUD-ის პროცედურული სახელმძღვანელოსა და სათემო მობილიზაციის სისტემის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრის ფასილიტაცია გასწია ორგანიზაცია CTC-ის წარმომადგენელმა. სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო GeNPUD-ის რეგიონალურმა და ადგილობრივმა ინდივიდუალურმა წევრებმა, ქსელის წევრი საინიციატივო ჯგუფების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ისევე როგორც ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენლებმა. ვორკშოფის მიზანს წარმოადგენდა პროცედურული სახელმძღვანელოს შექმნა და სათემო მობილიზაციის პროცესის ანალიზი.

4.4. თანამშრომელთა ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა

12 თვიან საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა თოთხმეტივე სერვის ცენტრის პროგრამული მონიტორინგი, გარკვეულ ცენტრებში ფინანსური, ლოჯისტიკური და მობილური ამბულატორიების მუშაობის მონიტორინგი. მონიტორინგის მიმდინარეობისას შემოწმდა სამუშაო პროცესი, ინახა არსებული პროგრამული სამუშაო ფორმები, განხორციელდა მონაცემთა ბაზების შემოწმება, გაწეულ იქნა

სხვადასხვა ტიპის ტექნიკური დახმარება. სერვის ცენტრების საჭიროებების შესაბამისად ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგებიც.

4.4.1. შეხვედრები/მრგვალი მაგიდები

საანგარიშო პერიოდში სამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ზიანის შემცირების ცენტრების საქმიანობის შესახებ ინფორმირების და მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით ჩატარდა შეხვედრები და მრგვალი მაგიდები:

26 იანვარს, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ოფისში ჩატარდა შეხვედრა სუბ-კონტრაქტორ ორგანიზაციებთან, სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა: ახალი პროექტის სამოქმედო გეგმის განხილვა, პრობლემების და თვითური ანგარიშების ხარვეზების განხილვა, ახალი კონტრაქტების ხელმოწერა.

4 თებერვალს, „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ოფისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სუბ-კონტრაქტორ ორგანიზაციებთან. სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სერვის ცენტრების თანამშრომლებისათვის ნარკოსცენაზე გამოჩენილი ახალი ნარკოტიკული საშუალების-ე.წ.„წიწვების ეფედრას“ შესახებ ინფორმაციის გაზიარება და კომპეტენტური პირების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნული შეხვედრის ხარჯი გაწეულ იქნა გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში.

18 თებერვალს „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ოფისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სუბ-კონტრაქტორ ორგანიზაციების ფინანსისტებთან მიმდინარე პროექტის “ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება” ფინანსური ადმინისტრირებისა და ფინანსური ანგარიშების წარმოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

4 მარტს სოროსის ფონდის ოფისში გაიმართა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის პირველი საინიციატივო შეხვედრა, რომელიც ინიცირებული იყო ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის (GeNPUD) მიერ. საინიციატივო შეხვედრას ესწრებოდნენ ზიანის შემცირების ქსელის, ადამიანის უფლებების, აივ და ც ჰეპატიტის დარგში მომუშავე (ან/და ამ თემებით დაინტერესებულ) ორგანიზაციების წევრები, სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები, სათემო ჯგუფები და სამოქალაქო აქტივისტები, კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები. მსჯელობა ძირითადად მიმდინარეობდა; პლატფორმის ფორმატი და პლატფორმის ჩამოყალიბების ინიციატივა. აღინიშნა რომ, რესურსების გაერთიანება და კოორდინაცია ზრდის წარმატების მიღწევის ალბათობას. შეხვედრაზე მიღწეულ იქნა გადაწყვეტილებები: რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება; კომუნიკაციის გაუმჯობესება და ძალისხმევა პარლამენტში ძლიერი ლობის ჩამოყალიბებისათვის.

19-20 მარტს შედგა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მისიის, მიზნების, პლატფორმის სტრუქტურის, თანამშრომლობის ფორმატის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

26 აპრილს დაავადებათა კონტროლის ცენტრში ჩატარდა, მობილური ამბულატორიების მუშაობის 4 თვის პერიოდის ანგარიშის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ქსელის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, NCDC-ს და CCM-ს წევრები. წარმოდგენილი იყო განვლილი თვეების მუშაობის

შედეგები, მიმდინარე პროექტის და ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესრულებული ინდიკატორები, წარმოჩენილი იყო მობილური ამბულატორიების მუშაობის პოზიტიური შედეგები, შექმნილი პრობლემები და სამომავლოდ მუშაობის გაუმჯობესების გზები.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა „1მლ შპრიცებით პროგრამის ბენეფიციარების კმაყოფილების შეფასება“. დიზაინის შესაბამისად ჩატარდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელიც მოიცავდა ღია და დახურულ შეკითხვებს. სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით სულ გამოკითხულ იქნა შპრიცების პროგრამის 13 სერვის ცენტრში სულ 451 ბენეფიციარი. ხარისხობრივი კვლევა ჩატარდა ზიანის შემცირების პროგრამის ბენეფიციარ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ფოკუს ჯგუფების საშუალებით. ფოკუს ჯგუფების საშუალებით სულ გამოკითხულ იქნა 36 ნიმ-ი და 20 სოციალური/აუთორიზ მუშაკი. ფოკუს ჯგუფის კვლევა ჩატარდა სტრუქტურირებული მეთოდული სახელმძღვანელოს მიხედვით. სულ ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი: 2 თბილისში (ორგანიზაციები: „აკესო“ და „ჰეპა პლიუსი“), ქუთაისში („ახალი გზა“) და გორში („ნაბიჯი მომავლისკენ“). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ბენეფიციარებს არ მოსწონთ 1 მლ შპრიცების (IDA) ხარისხი, ბენეფიციარები გამოხატავენ ხმამაღალ უკმაყოფილებას, იკვეთება საშიში ტენდენციებიც - ურჩევნიათ მოიხმარონ ინექციისთვის სხვა, უფრო მაღალი ხარისხის შპრიცი, თუნდაც სხვილი გამოყენებული. მომზადდა კვლევის ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე და გაეგზავნა ქსელის წევრ ორგანიზაციებსა და დონორს.

28 ივლისს ეროვნული კამპანიის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა: „ელიმინაცია დეკრიმინალიზაციის მოლოდინში“, მიზანი: ზიანის შემცირების მიდგომის მნიშვნელობის წარმოჩენა ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაციის მისაღწევად. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა სადამსჯელო ნარკოპოლიტიკაზე და ელიმინაციის მისაღწევად ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციის საჭიროებაზე.

28 ივლისს ქუთაისში იმერეთის დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ერთად გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა - მიღწევები და გამოწვევები“. ღონისძიება გააშუქა რეგიონალურმა პრესამ და ტელევიზიამ. აგრეთვე ცენტრის ოფისში ჩატარდა თემის აქტივისტების და საინიციატივო ჯგუფების საადვოკაციო შეხვედრა.

10 აგვისტოს „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ოფისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სუბ-კონტრაქტორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლის მიზანს წარმოადგენდა 31 აგვისტოს ზედოზირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საადვოკაციო კამპანიის დაგეგმვა და მონაწილე მხარეების მიერ ფუნქციების გადანაწილება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ზედოზირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საადვოკაციო კამპანიის მიზნები და ამოცანები. განხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები, გადანაწილდა ფუნქციები და განისაზღვრა კამპანიის ბიუჯეტი.

სექტემბრის თვეში, ა(ა)იპ „ჰეპა პლიუსი“ ოფისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სუბ-კონტრაქტორებთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა: ახალი პროექტის სამოქმედო გეგმის განხილვა, პრობლემების და

თვიური ანგარიშების ხარვეზების განხილვა, სახარჯი მასალების არამიზნობრივი გაცემის პრევენცია, ახალი კონტრაქტების ხელმოწერა.

6-7 ოქტომბერს, ა(ა)იპ „ქსენონის“ ოფისში შედგა "მსოფლიო ექიმები საფრანგეთი-საქართველოს წარმომადგენლობისა"(MDM) და ასოციაცია "ქსენონის" შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა C ჰეპატიტის მკურნალობის თანასწორგანამათლებელთა მხარდაჭერაზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა/განვითარებას ზუგდიდში. შეხვედრაში, ასევე მონაწილეობდნენ ორგანიზაცია "ახალი ვექტორის" სოციალური მუშაკები. რომელთაც შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს მათი ორგანიზაციის ბაზაზე მიღებული გამოცდილება.

დეკემბრის თვეში, „შიდსის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდები ჩაატარეს შემდეგ ორგანიზაციებმა: ა(ა)იპ „ნაბიჯი მომავლისკენ“ ქ.გორი; ა(ა)იპ „ნაბიჯი მომავლისკენ“ ქ.თელავი; ა(ა)იპ „ორდუ“; ა(ა)იპ „ქსენონი“; ა(ა)იპ „იმედი“; „ფენიქსი 2009“.

1 დეკემბრის, შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის (28 ნოემბერი - 7 იანვარი) ღონისძიებებში და ქუჩის აქციებში (მობილური ამბულატორიებიც გამოყენებული იყო ტესტირების კვირეულში), თბილისსა და რეგიონებში მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციებმა: ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“ რუსთავი; ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“ თბილისი; ა(ა)იპ „ჰეპა პლიუსი“ თბილისი; ა(ა)იპ „ახალი გზა“ თბილისი; ა(ა)იპ „ნაბიჯი მომავლისკენ“ გორი; ა(ა)იპ „ნაბიჯი მომავლისკენ“ თელავი; ა(ა)იპ „ახალი გზა“ ქუთაისი; ა(ა)იპ „ქსენონი“ ზუგდიდი; ა(ა)იპ „იმედი“ ბათუმი; ა(ა)იპ „ფენიქსი 2009“ ოზურგეთი.

4.4.2. ტრენინგები

მარტის, აპრილის და მაისის თვეში ჩატარდა ტრენინგები ზუგდიდის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, რუსთავის და თბილისის სერვის ცენტრებში. ტრენინგების ძირითადი თემატიკა იყო „C ჰეპატიტი, პრევენცია და მკურნალობა“. ტრენინგებს ესწრებოდნენ როგორც პროექტის **„ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისთვის და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“** პერსონალი, ასევე თანასწორგანამათლებლები. მონაწილეებს მიეწოდათ საინფორმაცია მასალა, რაც დაიბეჭდა გილუადის დაფინანსებით ქსელის წევრი ორგანიზაცია „რეალური ხალხი, რეალური ხედვა“ პროექტის ფარგლებში. ტრენინგები ჩატარდა აღნიშნული პროექტის ხელშეწყობით.

22-23 დეკემბერს, ქალაქ ბორჯომის სასტუმრო „ბორჯომი პალასში“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი. ტრენინგი წარმოდგენილი იყო შემდეგი თემით: „თანასწორი - თანასწორს დაფუძნებული ინტერვენცია“. როლური თამაშებით მონაწილეებმა პრაქტიკულად განახორციელეს პიდიანი ინტერვენციით განსაზღვრული ბენეფიციარის აღნიშნულ პროგრამაში ჩართვისა და საგანმანათლებლო მუშაობის საფეხურები.

ზიანის შემცირების ქსელის 5 წევრი (3 გამგეობის წევრი და 2 თანამშრომელი) დატრენინგდა გენდერულად მგრძობიარე მიდგომებზე ;

4.4.3. სერვისების მიწოდება

პროექტის სერვის ცენტრები მოემსახურა **42,197** კლიენტს (მათგან **1,438** ნიმ-ის პარტნიორია), რომელთაც საანგარიშო პერიოდში მიიღეს არსებული პრევენციული სერვისებიდან მინიმუმ ერთი სერვისი.


საანგარიშო პერიოდში მიღწეული მოცვის ინდიკატორი არის - **30 330**.

მოცვის ინდიკატორის დეფინიცია: მინიმალური პაკეტის მინიმუმ 2 სერვისით მოცული ბენეფიციარების რაოდენობა (რომელთაგან ერთ-ერთი სერვისი აუცილებლად არის შპრიცი/ ნემსი/ პეპელა, ხოლო დანარჩენი სერვისებიდან შესაძლებელია იყოს რისკის კონსულტირება ან საინფორმაციო მასალა ან კონდომი);

ცხრილი N1

სერვის ცენტრი	მოცვის ინდიკატორი
ბათუმი	3068
ზუგდიდი	2392
ფოთი	1066
თელავი	2195
სოხუმი	1068
ქუთაისი	2164
სამტრედია	1208
ოზურგეთი	1383
გორი	3033
რუსთავი	2668
<i>თბილისი</i>	
ა(ა)იპ აკესო	2666
ა(ა)იპ ახალი გზა	2802
ა(ა)იპ ახალი ვექტორი	2880
ა(ა)იპ ჰეპა +.	1936

გრაფიკი N1 პროგრამული მოცვის დინამიკა



მოცულ კლიენტთა შორის რეგისტრირებულია **20,579** ახალი ბენეფიციარი (მათგან **1,084** ნიმ-ის პარტნიორია).

12 თვიანი საანგარიშო პერიოდის ნარკოსცენა, ძირითადად მოიხმარებაში იყო:

იმერეთის რეგიონი - ჰერონი (სირეცი), ბუპრენორფინი (სუბოქსონი), „ვინტი“; „ხიმკა“ ე.წ. „შავი“; „ბიო“; „კრაკადილი“; ტროპიკამიდი; დიმედროლი ინტრავენურად; მეტადონი; მორფი; სუბოქსონი; დიაზეპამი; სუბოტექსი; მიდაქსი; ტროპიკამიდი; ბაკლოსანი; გაბა-გამა; გრიმოდინი; კოაქსილი; ზოლომაქსი; სომნოლი; გამაპენტინი; ფენადაზეპამი; დიაზეპამი; „ბიო“(მოსაწევი); მარიხუანა; „წიწვების ვინტი“; მხოლოდ პროგრამის მონაწილეების მიერ ხდებოდა დიმედროლის ინტრავენურად მოხმარება.

სამეგრელოს რეგიონი - (სირეცი) ჰერონი; ოპიუმი; „ნიანგი“; მეტადონი (ფხვნილი); სუბოქსონი; სუბოტექსი; ბაკლოსანი; გრიმოდინი; ფენიბუტი; გაბა-გამა; კოდესანი; ქსანაქსი; დიაზეპამი; დიმედროლი; კლონაზეპამი; ტებალტინი; ციკლოდოლი; აზალეპტინი; რიბეტროლი; ფენაზეპამი; ბაკლოფენი; ლირიკა; მარიხუანა; „ვინტი“; ჯეფი; „ქუჩის მეტადონი“; სიბაზონი; ქსანაქსი; ე.წ. „წიწვების ვინტი“; სხვადასხვა ფსიქოტროპული და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების კომბინაციები.

გურიის რეგიონი - მორფინი; დიმედროლი; ჰერონი (სირეცი); „ქუჩის მეტადონი“; ბუპრენორფინი; სუბოქსანი; ბაკლოსანი; ტრამალი; გამა-გამა; ლირიკა; გრიმოდინი; კლონაზეპამი; ექსტაზი; ყაყაოსგან მიღებული „ოპიუმი“; ე.წ. „წიწვების ვინტი“; სხვადასხვა საძილე, ტრანკვილიზატორების და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების კოქტეილები; მრავალფეროვანი სააფთიაქო ნარკოტიკები; ხშირია დიმედროლის აბებისგან მიღებული ხსნარის ინტრავენურად მოხმარება; ხშირია ე.წ. სააფთიაქო ნარკოტიკების მოხმარება.

კახეთის რეგიონი - ჰერონი; ტროპიკამიდი; კეტამინი; მიდექსი; კალიფსო; „ქუჩის სუბოტექსი“; „ქუჩის მეტადონი“; ყაყაო; „შირკა“; „სირეცი“; სუბოტექსი; ჰერონი; „შირკა“ და „ხანკა“; ე.წ. ე.წ. „წიწვების ვინტი“; სააფთიაქო ნარკოტიკები.

აჭარის რეგიონი - ჰერონი; „სირეცი“; სუბოტექსი; სუბოქსანი; „კრაკადილი“; ოპიუმი; „ვინტი“; ჯეფი“; სტაბლონი; ამფეტამინი; ბიო; კოკაინი; ბიო-პლანი; მეტადონი (კრისტალები); ექსტაზი; ეპიქსი; გაბაგამა;

ფენიბუტი; სომნოლი; რივეტროლი; ჰელიმონი; ტებალტინი; გრიმოდინი; სედალგინი; კლონაზეპამი; დიმედროლი; ლიორესალი; მარიხუანა;

შიდა ქართლი - „შავი“; „სირეცი“; „ვინტი“; ჯეფი; სუბოტექსი; ყაყაჩოს ნამჯა; სამედიცინო საინექციო მორფი და მშრალი მორფი „მსტ“; ჰეროინი; მარიხუანა; ხშირია ფსიქოტროპული აბების, ალკოჰოლის და მარიხუანას ერთდროულად მოხმარების ფაქტები; ე.წ „წიწვების ვინტი“; ხშირია ფსიქოტროპული აბების, ალკოჰოლის და მარიხუანას ერთდროულად მოხმარების ფაქტები.

ქვემო ქართლი - „შავი“; „სირეცი“; „ოპიუმი“; ტროპიკამიდი; „კრაკადილი“; „ვინტი“; სიმპლექსი; ჰეროინი; სუბუტექსი; სუბოქსანი; „ქოქოსი“; ყაყაჩო“; გაბაპენტინი; ანდანტე; აქტიფედი; რივოტრილი; როდედორმი; ტროპიკამიდი; ატროპინი; ბაკლოსანი; გაბაგამა; გრიმოდინი; რივოტრილი; კლონაზეპამი; რელადორმი; როდალეპტინი; დიაზეპამი; ზოლომაქსი; ე.წ „წიწვების ვინტი“;

აფხაზეთის რეგიონი - მეტადონი; დეზომორფინი; ქუჩის მეტადონი; ლირიკა; ბაკლოსანი; კატადალონი; „ვინტი“; „ყაყაჩო“; სპაისი; ახალი ნარკოტიკული საშუალება „მარილი“ –(შემოდის რუსეთიდან).

თბილისი - „ბიო“; „კრაკადილი“; კოდეინი; მორფიუმი; „კრაკადილი“; „ვინტი“; ჰეროინი; ოპიუმი; სუბუტექსი; „სირეცი“; მორფი; ბიო-ამფეტამინი; ბაკლოსანი; გაბა-გამა; მარიხუანა; მეტადონი; სუბოქსონი; მიდაქსი; პირალგინი; მიდრაცილინი; ტროპიკამიდი; ტებალტინი; ზოლომაქსი; ეფედრინი; დიმედროლი; გრიმოდინი; ტებალტინი; რივოტრილი; სიახლეა ნორპინი და დოკუუმბი; გაბაპენტინი; პირალგინი; გაბატა; მაგიტუსი; დიაზეპამი; კლონოზეპამი; რალანიუმი; ქსანანი; აზალეპტინი; ფენაზეპამი; რელადორმი; ციკლოდოლი; როვოტრილი; ანდანტე; მარიხუანა; ლირიკა; სეზუნური ყაყაჩო (კაპუსტა, კოკნარი); „მარილი“; ე.წ „წიწვების ვინტი“; სხვადასხვა სახის ტრანკვილიზატორები და ფსიქოტროპული აბები;

12 თვიან საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ზედოზირების 925 შემთხვევა, მათგან ლეტალურად დამთავრდა 11 შემთხვევა.


ცხრილი N2

ორგანიზაცია	ზედოზირების შემთხვევები	არა ლეტალური გამოსავალი	ლეტალური გამოსავალი
ა(ა)იპ"ნაბიჯი მომავლისკენ" - გორი	63	63	0
ა(ა)იპ"ნაბიჯი მომავლისკენ" -თელავი	8	8	0
ა (ა)იპ "ახალი ვექტორი" - რუსთავი	140	140	0
ა (ა)იპ "იმედი" - ბათუმი	81	78	3
ა (ა)იპ "ფენიქსი" - ოზურგეთი	135	135	0
ა (ა)იპ "ქსენონი" - ზუგდიდი	61	60	1
ა (ა)იპ "ორდუ" - ფოთი	66	66	1
ა (ა)იპ " ახალი გზა" - ქუთაისი	15	15	0
ა (ა)იპ " ახალი გზა" - სამტრედია	19	19	0
ა (ა)იპ „თანადგომა“ სოხუმი	272	271	1
ა (ა)იპ " ჰეპა პლიუსი“ თბილისი	14	11	3

ა (ა)იპ " ახალი გზა " თბილისი	51	49	2
-------------------------------	----	----	---

2016 წელს აივ ინფექციაზე ჩატარდა 27 395 ტესტირება, მათგან 1383 ნიმ-ის პარტნიორია. დაანგარიშებულია უნიკალური კოდების მიხედვით.

გრაფიკი N2 აივ-ზე ტესტირება და კონფირმირებული შემთხვევები




ცხრილი N3 გამოვლენილი აივ დადებითი შემთხვევები

ცენტრი	"ახალი გზა" - თბ.	სამტრედია	ქუთაისი	გორი	თელავი	"ვეპტორი" - თბილისი	"ვეპტორი" - რუსთავი	"აკესო"	ბათუმი	ოზურგეთი	ფოთი	"ჰეპა +"	"ქსენონი"	"თანადგომა"
სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შედეგები	3	3	9	4	10	7	4	5	10	2	1	7	12	22
კონფირმაციით დადასტურებული დადებითი შედეგები	4	2	5	1	6	6	4	6	4	2	1	2	5	22
კონფირმაციით დადასტურებული უარყოფითი შედეგები:			1	2	2	1			1			1	4	

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამასთან კოორდინაცია და HCV სკრინინგ დადებითი ბენეფიციარების დროული რეფერირება შემდგომი დიაგნოსტიკებისა და მკურნალობისთვის.

14 სერვის ცენტრის მიერ ტარდებოდა ბენეფიციარების HCV სკრინინგი, დადებითი შედეგების შემთხვევაში 13 ცენტრის მიერ ხდებოდა მათი გადამისამართება შესაბამის დაწესებულებებში კონფირმაციული კვლევებისათვის.


გრაფიკი N3 C ჰეპატიტზე ტესტირების დინამიკა და დადებითი შემთხვევები




C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამასთან კოორდინაციის მიზნით პროექტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ TAG-ის რეკომენდაციების შესრულების და კვარტალური შედეგების წარდგენის პროცესში ეროვნულ დონეზე გამართულ შეხვედრებში; პროგრამის დირექტორი შერჩეულ იქნა ცე ჰეპატიტის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფში, შემუშავდა სტრატეგიის 3 სხვადასხვა ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე. პროექტის მიღწევები წარდგენილ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და ღვიძლის საერთაშორისო კონგრესის EASL მიერ გამოცხადებულ კონკურსში, შედეგად ზიანის შემცირების საქართველოს ქსელს მიენიჭა ჯანმოს საპატიო სიგელი C ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.



გრაფიკი N4 B ჰეპატიტზე ტესტირების დინამიკა და დადებითი შემთხვევები




გრაფიკი N5 სიფილისზე ტესტირების დინამიკა და დადებითი შემთხვევები



ბოლო წლების მანძილზე პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თანასწორობა მიერ დარიგებული ნალოქსონი რაოდენობა, სერვის ცენტრებიდან მოგროვებული მონაცემების საფუძველზე, მნიშვნელოვნად შემცირდა ოპოიდებით განპირობებული ზედოზირებით გარდაცვალების მაჩვენებელი.

გრაფიკი N6 დარიგებული ნალოქსონი დინამიკაში



ცხრილი N4 ზედოზირების შემთხვევები

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
ზედოზირების შემთხვევები	528	892	849
ლეტალური გამოსავალი	39	50	9
არალეტალური გამოსავალი	489	842	840

თანასწორობის საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზება სერვის ცენტრებში; ყოველთვიურად ტარდებოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები სუბ-კონტრაქტორ ორგანიზაციებში, სადაც თანასწორები მომზადდნენ შემდეგ საკითხებზე:

აივ ინფექცია/შიდსი; ჰეპატიტები; ტუბერკულოზი; C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა; უსაფრთხო ინექცია; ვენების მოვლა; ზედოზირება; ვირუსული და ბაქტერიული ინფექციები; „წიწვების ვინტის“ მავნე ზეგავლენა; ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია; ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე; ნალოქსონის მოხმარება; ზიანის შემცირების პროგრამების როლი დაავადებების პრევენციაში; წამალდამოკიდებულების მკურნალობა; ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე - 26 ივნისი; 28 ივლისი - ჰეპატიტთან ბრძოლის საერთაშორისო დღე; 31 აგვისტო – ზედოზირებაზე ცნობიერების ამაღლების დღე; ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები; ნიმ-თა უფლებები; ბიო-ამფეტამინის ზეგავლენა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე; 1 დეკემბრი - შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე;

შემთხვევის მართვის ინტერვენციის განხორციელება ზიანის შემცირების ცენტრებში;

2016 წელს შემთხვევის მართვის პროგრამა ხორციელდებოდა 13 სუბ-კონტრაქტორ ორგანიზაციაში. სულ გაიხსნა 414 და დაიხურა - 415 ქეისი, ხოლო 9 ქეისი რჩება მიმდინარედ.

შემთხვევის მართვა მიმდინარეობდა კლიენტთა სამედიცინო, ფსიქოლოგიური, იურიდიული და სოციალური პრობლემების მოგვარების კუთხით.

სპეციალისტების კონსულტაციები

პროექტის ფარგლებში ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის ჩატარდა ექიმ-სპეციალისტთა: ინფექციონისტი, ნარკოლოგის, ქირურგის, თერაპევტის, ფსიქოლოგის, ნევროპათოლოგის, გინეკოლოგის, ჰეპატოლოგის, ანგიოლოგის, სგგი სპეციალისტის და აგრეთვე იურისტის კონსულტაციები. სპეციალისტების მიერ სულ ჩატარდა 1,897 კონსულტაცია.

თანასწორგანმანათლებელთა პროგრამა PDI – Peer Driven Intervention

2016 წელს, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის აივ ინფექციის გავრცელების პრევენციის გაუმჯობესების მიზნით სერვის ცენტრებში თანასწორგანმანათლებელთა პროგრამით განხორციელდა ახალი კლიენტების მოცვა, მათთვის მინიმალური აივ პრევენციის პაკეტის მიწოდება და საგანმანათლებლო მუშაობა. 9 სუბ-კონტრაქტორ ორგანიზაციის მიერ ინტერვენციით მოცული იქნა სულ 384 ბენეფიციარი, მათ შორის 36 ქალი.

ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა უზრუნველყოფა შპრიცებითა, კონდომებით და სხვა სახარჯი მასალით

12 თვიან საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში გაცემული შპრიცების და ნემსების საერთო რაოდენობა შეადგენს 4,516,442-ს. დარიგდა 680962 ცალი კონდომი, გაიცა 11,662 ცალი ნალოქსონი. გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში, კლიენტებს ჯამში დაურიგდათ 44 256 ცალი ბროშურა, ასევე გაიცა სხვა დონორის მიერ მიწოდებული 4016 ცალი საინფორმაციო მასალაც.

ქალი ნარკო მომხმარებლების მოზიდვა და ჩართვა ზიანის შემცირების პროგრამაში

პროექტის ფარგლებში ხდებოდა ქალი მომხმარებლების ინფორმირება ნარკოტიკის ინექციურ მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებზე, საჭირო სამედიცინო და იურიდიული კონსულტირების შეთავაზება, ასევე, განხორციელდა ქალებზე ორიენტირებული სერვისების მიწოდება.

ქალი ბენეფიციარები თბილისისა და რეგიონების სერვის ცენტრებში იღებდნენ პროექტით გათვალისწინებულ საინექციო/სტერილურ მასალებს, კონდომებს, სამედიცინო და იურიდიულ

კონსულტაციებს. კონსულტაციების მიმდინარეობისას კლიენტებს მიეწოდებათ მათთვის საჭირო ინფორმაცია უსაფრთხო ინექციის და უსაფრთხო სქესობრივი კონტაქტის, ნარკოტიკული საშუალებების დოზის შემცირების და ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შემცირების საკითხებზე.

12 თვიან საანგარიშო პერიოდში, ზიანის შემცირების ცენტრების მიერ მომსახურება გაეწია **2,987** ქალს (აქედან **1420** ნიმ-ის პარტნიორია). მათ შორის ახალი კლიენტია **1,670**.

ქალი მომხმარებლებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების შესაძენად სპეციალური კურსების შეთავაზება თბილისის სერვის ცენტრებში.

ქალი მომხმარებლების პროექტში მოზიდვის და მათი დაყოვნების გახანგრძლივების მიზნით, თბილისის ცენტრები ბენეფიციარებს დამატებით სთავაზობენ ხელსაქმის შემსწავლელ კურსებს, კერძოდ, **12 თვიან** საანგარიშო პერიოდში:

ა(ა)იპ „ახალი გზა“ - სერვის ცენტრში ხელსაქმის კურსები გაიარა 39-მა ქალმა ბენეფიციარმა.

ა(ა)იპ „აკვსო“ – ქალი მომხმარებლებისთვის სპეციალური მინანქრისა და თექს შემსწავლელი კურსები გაიარა 30 ქალმა ბენეფიციარმა.

ა(ა)იპ „ჰეპა+“ - ქალ მომხმარებლებს სთავაზობდა სპეციალური არტთერაპიის და ქსოვის კურსებს. არტთერაპიაში ჩართული იყო - 52 ქალი, ხოლო ქსოვის კურსში - 31 ქალი ბენეფიციარი.

ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“- სპეციალურ ხელსაქმის შემსწავლელ კურსებში ჩართული იყო 72 ქალი ბენეფიციარი.

2016 წლის სექტემბრის თვიდან პროექტს დაემატა ახალი აქტივობა: ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების სქესობრივი პარტნიორებისადმი მიმართული ღონისძიებების მიწოდება.

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში ხორციელდებოდა ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების სქესობრივ პარტნიორებზე ორიენტირებული სერვისების მიწოდება, მათი კონსულტირება, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე მიმართული სერვისების შეთავაზება (გინეკოლოგიური კონსულტაცია და სხვა სამედიცინო სერვისები);

სქესობრივი პარტნიორებისათვის ჩატარდა ექიმ-სპეციალისტთა: ინფექციონისტის, ქირურგის, თერაპევტის, ფსიქოლოგის, ნევროპათოლოგის, გინეკოლოგისა და ოფთალმოლოგის კონსულტაციები. სპეციალისტების მიერ სულ ჩატარდა 546 კონსულტაცია.

გარდა ამისა, სერვის ცენტრებში ნარკოტიკების მომხმარებელთა სქესობრივი პარტნიორებს დაურიგდათ სხვადასხვა წამახალისებელი ჰიგიენური საშუალებები (შამპუნი, კბილის ჯაგრისი, ჰიგიენური პაკეტები, ერთჯერადი საპარსი და ა.შ). აღნიშნული ინტერვენციით მოცულ იქნა 356 ნიმ-ის პარტნიორი.

ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის გაზრდა ზიანის შემცირების ცენტრებში

პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა სკრინინგი ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის მიზნით და საგანმანათლებლო მუშაობა ტუბერკულოზის პრევენციის და დროული დიაგნოსტიკის საკითხებზე;

12 თვიან საანგარიშო პერიოდში სერვის ცენტრებში 17,208 ბენეფიციარს ჩაუტარდა სკრინინგი (მათ შორის 560 ნიმ-ის პარტნიორია) ტუბერკულოზზე სპეციალური კითხვარის მეშვეობით.

განხორციელდა ტუბ-ზე საექვო ნიმ-ების დროული რეფერირება ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო/სამკურნალო სპეციალიზებულ კლინიკებში;

სულ რეფერირებულ იქნა ტუბერკულოზზე საექვო სიმპტომების მქონე 487 (მათ შორის 8 ნიმ-ის პარტნიორია) ბენეფიციარი, ტუბერკულოზის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთო 21 ბენეფიციარი.

ცხრილი N5 ტუბერკულოზის გამოვლენა

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
ტუბერკულოზის სკრინინგი	4075	9868	17208
ტუბ. დაწესებულებაში რეფერირებულ კლიენტთა რაოდენობა	396	418	487
ტუბერკულოზის სახ. პროგრამაში ჩართული კლიენტების რაოდენობა	33	31	21

მობილური ამბულატორიები

პროექტის ფარგლებში 2016 წლიდან დაემატა ახალი სერვისი მობილური ამბულატორიების სახით ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების აივ ტესტირებასა და მოცვაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.



პროექტის ფარგლებში 6 მობილური ამბულატორია (აქედან 2 „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელს“ გადაეცა აპრილის თვეში) მუშაობდა 9 სერვის ცენტრში: ა(ა)იპ „ახალი გზა“ თბილისი, ა(ა)იპ „ახალი გზა“ ქუთაისი, ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“ თბილისი, ა(ა)იპ „ჰეპა პლიუსი“ თბილისი, ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“ რუსთავი, ა(ა)იპ „ნაბიჯი მომავლისკენ“ გორი, ა(ა)იპ „ნაბიჯი მომავლისკენ“ თელავი, ა(ა)იპ „ქსენონი“ ზუგდიდი, ა(ა)იპ იმედი“ ბათუმი და მოცული იქნა 10 რეგიონი: თბილისი და მისი შემოგარენი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო.

დამატებით, იანვარ-ივნისის პერიოდში, პროექტის „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისის მიწოდება“ განხორციელებასთან ერთად ორი ორგანიზაცია: ა(ა)იპ „ახალი გზა“ და ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“ მობილური ამბულატორიების მეშვეობით დამატებით ჩართულნი იყვნენ „C ჰეპატიტის ელიმინაციის“ სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში: ა(ა)იპ „ახალი გზა“- მცხეთა- მთიანეთის რეგიონში და ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“- ქვემო ქართლის რეგიონში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ზოგადი პოპულაციის სკრინინგი აივ ინფექციასა და C ჰეპატიტზე.

ორგანიზაციების: ა(ა)იპ 'ნაბიჯი მომავლისკენ' გორი და ა(ა)იპ „ქსენონი“ ზუგდიდი მობილური ამბულატორიები წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ახორციელებდნენ პროექტით გათვალისწინებულ გეგმიურ მუშაობას შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელოს რეგიონებში.

ორგანიზაციების: ა(ა)იპ 'ნაბიჯი მომავლისკენ' თელავი და ა(ა)იპ „იმედი“ ბათუმი მობილური ამბულატორიები წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ახორციელებდნენ პროექტით გათვალისწინებულ გეგმიურ მუშაობას კახეთში, აჭარის და გურიის რეგიონებში. ორგანიზაციების: ა(ა)იპ „ახალი გზა“ ქუთაისი და ა(ა)იპ „ახალი ვექტორი“ თბილისი ა(ა)იპ „ჰეპა პლიუსი“-თან ერთად, მობილური ამბულატორიები წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ახორციელებდნენ პროექტით გათვალისწინებულ გეგმიურ მუშაობას იმერეთის რეგიონში, თბილისსა და მის შემოგარენში.

12 თვიან საანგარიშო პერიოდში 6 მობილური ამბულატორიის მეშვეობით სერვის ცენტრების მიერ გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი მოცულობის სამუშაო:

- 11,301 ბენეფიციარის მოცვა მინიმუმ 1 პრევენციული სერვისით;
- შესრულებული მოცვის ინდიკატორი არის 6,762;
- შესრულებული ტესტირების ინდიკატორი არის 11,105 (მათ შორის 556 ნიმ-ის პარტნიორია);
- გაცემული ნალოქსონის რაოდენობა არის 2,390;
- გაცემული კონდომების რაოდენობა არის 35,099;
- საინფორმაციო მასალების რაოდენობა არის 7,671;
- გაცემული შპრიცი/ნემსი/პეპელას რაოდენობა არის 301,082;

ცხრილი N6 MA -ს მიერ შესრულებული მოცვის, ტესტირებისა და ტუბ. სკრინინგის ინდიკატორების შეფარდება 14 სერვის ცენტრის ჯამურ ამავე მაჩვენებლებთან

	14 ცენტრი	მობილური ამბულატორია	პროცენტი
მოცვის ინდიკატორი	30330	6762	22
ტესტირების ინდიკატორი	27395	11105	40.5
ტუბ. სკრინინგის ინდიკატორი	17208	5713	33

4.5. რეგიონალური პროექტი „ზიანის შემცირება მუშაობს-დააფინანსეთ!“

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (აერთიანებს სამთავრობო, არასამთავრობო, მათ შორის სათემო აქტივისტებსა და დარგობრივ ექსპერტებს), რომელიც შეიმუშავებს ზიანის

შემცირების სერვისების სტანდარტს. აღნიშნული სტანდარტის დოკუმენტი გარდამავალი გეგმის განსახორციელებლად შემუშავებული რეკომენდაციების დანართად მოიაზრება. დოკუმენტი გააერთიანებს ინტერვენციების დეტალურ პაკეტს, განხორციელების მეთოდოლოგიას და მათ განფასებას აქტივობების მიხედვით. დოკუმენტის შემუშავების შემდგომ ეტაპზე მოხდება მისი განხილვა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის სერვისების ჯგუფის წარმომადგენლების მიერ და დამტკიცება პოლიტიკისა და ადვოკაციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ. აღნიშნული ღონისძიებების საბოლოო მიზანია სტანდარტის დამტკიცება ეროვნულ დონეზე, რაც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და მოცვის გაზრდას, ხოლო მეორეს მხრივ შპრიცების პროგრამის მიწოდების ლეგალური ბაზის შემქმნას.

ჩამოყალიბდა საბიუჯეტო ადვოკატირებაზე მომუშავე ჯგუფი, რომელის მთავარი მიზანი მესამე წლის მანძილზე დაგეგმილი თანხებისა და დანახარჯების კონტროლია, აგრეთვე სტანდარტების ფინანსური მოდელირების შესაბამისად ზიანის შემცირების დაფინანსების ადეკვატური ასახვის მონიტორინგი აივისა და ჰეპატიტის პროგრამულ დოკუმენტებში. მუშობა იგეგმება ბათუმის ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და ჯანდაცვის სამინისტროსთან რათა მოხდეს თანხის ალოკაცია ზიანის შემცირების/მომიჯნავე სერვისებისათვის.

4.6. რეგიონალური პროექტის „აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური პლატფორმა ქალების, გოგონებისა და ტრანსგენდერებისთვის აივ/შიდსის დაჩქარებული პასუხისთვის“ ფარგლებში შესრულდა GHRN-ის შეფასება მისი მმართველობის, რისკის მართვის და შიდა ანგარიშვალდებულების დონეზე ქალების, გოგონებისა და ტრანსგენდერების გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გაძლიერების შესაძლებლობის გათვალისწინებით. შეფასება განხორციელდა რეგიონალური კოორდინატორის მიერ გენდერული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით რომელიც შედგენილი იქნა RCNF-ის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტის ფარგლებში. შეფასებამ გამოავლინა ხარვეზები გენდერულად სენსიტიური მმართველობის და პროგრამირების თვალსაზრისით, აღნიშნულის გათვალისწინებით გაიწერა სამოქმედო გეგმა რომელიც დასამტკიცებლად განიხილა გამგეობამ. ზიანის შემცირების ქსელში ჩამოყალიბდა გენდერზე მომუშავე ჯგუფი, შეიქმნა გენდერზე მომუშავე ჯგუფის სახელმძღვანელო და გენდერული პოლიტიკა, ჩარადა აივის სფეროში სტატისტიკის ანალიზი გენდერულ/სქესის ჭრილში;

4.7. პროექტის “აივისა და ჰეპატიტი C-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში” ფარგლებში შემუშავდა ორგანიზაციის ჰოლისტური სტრატეგია, განხორციელებულია ორგანიზაციის წევრების მართვის შეფასება, ხოლო რეკომენდაციები შემუშავების პროცესშია; პროექტის ფარგლებში მოხდა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის სერვისების ჯგუფის სტრატეგიული შეხვედრების ორგანიზება- (სტანდარტებზე მუშაობა ხდება

გლობალური ფონდის რეგიონალური პროგრამასთან სინერგიით); შეიქმნა კომუნიკაციის სტრატეგია და საინფორმაციო ჰაბი ვებგვერდისათვის. შეიქმნა ორგანიზაციის გენდერული განვითარების გეგმა (სინერგია რობერტ კარგის რეგიონალურ პროექტთან)

4.8. პროექტი „ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევ პირთა უფლებებისთვის“

პროექტის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია ორი საკონსტიტუციო სარჩელი, რომელთა დავის საგანს წარმოადგენს „სისხლის სამართლის კოდექსის“, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკუსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სასახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლების შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციასთან. ასევე ჩატარდა ნარკოკანონმდებლობის კვლევა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, გაკეთდა ნარკოპოლიტიკის მიმართულებით არსებული კვლევების მეორადი ანალიზი და დაიხვეწა ქსელის კომუნიკაციის პოლიტიკის და წესების დოკუმენტი.

4.9. პროექტი ჰოლისტური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში”

პროექტის ფარგლებში შემუშავდა მოდული C ჰეპატიტის შესახებ პაციენტთა სკოლებისთვის და თანასწორთა კონსულტაციების ფასილიტაციისთვის. ჩატარდა ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წევრი ორგანიზაციების ბაზაზე ქალაქებში- თბილისი, თელავი, რუსთავი, გორი, ბათუმი, ოზურგეთი და სამტრედიამი ჩატარდა პაციენტთა სკოლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 108 თანასწორგანმანათლებელმა. ორგანიზაციების „ახალი ვექტორი“(თბილისი), „ჰეპა პლიუსი“ (თბილისი), „ნაბიჯი მომავლისაკენ“ (გორი) და „ქსენონი“-ს (ზუგდიდი) ბაზაზე, პროექტში ჩართული კონსულტანტების მიერ განხორციელდა 560 საკონსულტაციო მომსახურება. პირველი ფაზის შეფასების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები

5. ეროვნულ და საერთაშორისო დონისძიებებში მონაწილეობა

28-30 ივნისს ქ. ჟენევაში ჩატარდა გაეროს UNAIDS პროგრამების საკოორდინაციო საბჭოს რიგით 38-ე სხდომა, სადაც თემატურ სეგმენტში „სამოქალაქო სექტორის როლი აივ/შიდსის წინააღმდეგ“ ზიანის შემცირების პროგრამის დირექტორის მაკა გოგიას მიერ გაკეთდა სიტყვიერი მოხსენება ზიანის შემცირების პროგრამის მიღწევების, პრობლემების და მოსალოდნელი გამოწვევების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ დელეგატები მსოფლიოს 120-მდე ქვეყნიდან და 30-მდე სამოქალაქო სექტორის აქტივისტი. შეხვედრას ასევე ესწრებოდა UNAIDS გენერალური დირექტორი მიშელ სიდიბე და გლობალური ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მარკ დაიბლი.

პროგრამის დირექტორის მიერ გაკეთდა მოხსენება ქ.ბოსტონში ქალთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შესახებ: Does Participation in Harm Reduction Program Exclude Risky Behaviors of female PWIDs in Georgia?

პროგრამის დირექტორის მიერ ქ.მოსკოვში რეგიონულ აივ/შიდსის კონფერენციაზე გაკეთდა მოხსენება: „Доступность лечения ВИЧ-инфекции и Гепатита С в Грузии“ (მარტი, 2016);

მონიტორინგის სპეციალისტის მიერ ცე ჰეპატიტის ეროვნულ ვორქშოფზე გაკეთდა მოხსენება: Hepatitis C, Testing and Linkage to care, at Harm Reduction Sites

პროგრამის დირექტორის მიერ გაკეთდა მოხსენება ევროპის შიდსის მკურნალობის ჯგუფის მიერ EATG ქ. თბილისში ინიცირებულ შეხვედრაზე: Civil Society role in expanding access to DAAs: a case study from Georgia.

გარდა ამისა, პროექტის თანამშრომლების მიერ გაკეთდა 10-მდე წარდგინება ეროვნულ დონეზე სხვადასხვა თემატურ შეხვედრასა და მრგვალ მაგიდებზე;

6. ახალი განაცხადები:

1. ფონდი ღია საზოგადოება საქართველოსთვის; სათემო აქტივიზმი ჯანდაცვის პოლიტიკის რეფორმირების პროცესში -17 000 USD
2. East West Management Institute -Accelerate drug user women oriented health care and social interventions in HIV/HCV national response 56 380 USD- ნარკომომხმარებელ ქალებზე ორიენტირებული ჯანმრთელობისა და სოციალური ინტერვენციების ინტეგრირება აივისა და ჰეპატიტი C-ს ეროვნულ პასუხში
3. გლობალური ფონდის ახალი გრანტის „ტუბერკულოზის შესახებ ცნობიერების ამაღლება მოსახლეობასა და სარისკო ჯგუფებში“ (ელექტრონული ტენდერი);
4. მომზადდა ერთიანი განაცხადი ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC Atlanta) დაფინანსების მისაღებად კვლევის ჩასატარებლად
5. **ახალი პროექტი:** კოჰორტული კვლევა ნიმ-ებში შნპ პროგრამის საიტებზე C ჰეპატიტის ინციდენტობის შეფასების მიზნით (მსგავსი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა საქ-ში).

დონორი: ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი (CDC Atlanta)

პარტნიორი: ინფექციური პათოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი

პერიოდი: 14 თვე: დაწყების სავარაუდო ვადა ივნისი, 2017

კვლევისთვის შერჩეული ქალაქი: თბილისი



საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, თბილისი, 0171 შარტავას 24, მე-3 სართული, ბ.6

ტელ: +995 2 37 21 60

ელ.ფოსტა: info@hrn.ge

Web-gverdi: www.hrn.ge